ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2139752

ნომერი: AR1325593

თარიღი : 09.07.2015

გაცემის თარიღი : 14.08.2015

გაცნობის თარიღი : 17.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 2 , (ნაკვეთი 08/024) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კობალაძე პ/ნ 01009003790
- ვაჟა-ფშაველას მე-7კვ მე-7 კორპ. ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 09 ივლისს #AR1325593 განცხადებით მომართა კობა კობალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის

არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, უნივერსიტეტის ქ. #2-ში (ნაკვ. 08/024), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი. #01.14.06.008.024), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2014 წლის 13 ნოემბრის #1585267 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 14 ნოემბრიდან 2016 წლის 14 ნოემბერის ჩათვლით.
განმცხადებელის განმარტებით, პროექტის შეთანხმების ეტაპზე არასწორად იქნა მითითებული საერთო ფართისა და მასში შემავალი ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 16279.6 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 16166.1 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 9087.6 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 9 072.1 კვ.მ.–ს, საოფისე ფართობი 1363.3 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 1 267.0 კვ.მ.–ს, ხოლო კომერციული ფართობი 748.3 კვ.მ.–ის ნაცვლად შეადგენს 746.6 კვ.მ.–ს. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ამავე ბრძანებით შეთანხმებული ცალკეული გეგმების ჩანაცვლებას 2015 წლის 09 ივლისის #AR1325593 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 16166.1 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 9 072.1 კვ.მ, საოფისე ფართობად – 1267.0 კვ.მ, ხოლო კომერციულ ფართობად – 746.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას, ამავე ბრძანებით შეთანხმებული A ბლოკის I, II და III სართულის გეგმების, ასევე, B ბლოკის I სართულის გეგმის ნაცვლად, დაემატოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი, გასწორებული გეგმები.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1564138 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
